GSA
საქართველოს
სტომატოლოგთა
ასოციაცია

27.04.2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქ-ნ ეკატერინე ტიკარაძეს

ქ-ნო ეკატერინე,

მოგეხსენებათ, სტომატოლოგიური კლინიკების უდიდეს ნაწილს ფუნქციონირება შეწყეტილი აქვს, მცირე ნაწილი კი მხოლოდ გადაუდებელ პაციენტებს ემსახურება არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით. გიგზავნით დოკუმენტს, რომელიც შეიძლება სახელმძღვანელოდ გამოვიყენოთ და განვსაზღვროთ ვადები და მანიპულაციები, რომლებიც შეიძლება ეტაპობრივად იქნას დაშვებული. გაიდლაინში მოწოდებულია გადაუდებელი და გეგმიური პაციენტების განსაზღვრის, COVID-19-ით ინფიცირების რისკის და სტომატოლოგიური მანიპულაციების რისკის შეფასების ალგორითმები.
გაიდლაინი საერთაშორისო დოკუმენტების ადაპტირებულ ვერსიას წარმოადგენს. სამუშაო პროცესში ჩართული იყო საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ექსპერტთა საბჭო და ვიწროპროფილური სტომატოლოგიური გაერთიანებები:

- საქართველოს პაროდონტოლოგთა ასოციაცია
- საქართველოს ბავშვთა სტომატოლოგთა ასოციაცია
- საქართველოს ორთოდონტთა ასოციაცია
- ახალგაზრდა სტომატოლოგთა საზოგადოება
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „რადიქსი“

გათვალისწინებული იქნა ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები და კომენტარები.

პატივისცემით,

ქეთევან გოგილაშვილი
ასოციაციის პრეზიდენტი

ს/კ: 205049534
მის: თაბუკაშვილის 27, 0108, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32)2 30 97 11; მობ: (+995 595) 53 23 53

E-mail: info@gsa.ge
www.gsa.ge